ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიანგი

9

გამოცემის 56-ე წელი, (№ 1547). მაისი 1979, ფასი 20 კაპიკი.

ნახ. გ. ლომიძისა




ნახ. ჯ. ლოლუასი



„საბჭოთა ადამიანები შევიწროებულნი არიან! გასაქანი არა აქვთ!..“

მსოფლიოს ხალხებო! გააძლიერეთ ბრძოლა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის, ახალი მსოფლიო ომის საფრთხის აღკვეთისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისათვის!

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან**

„საბჭოთა კავშირი ბრძოლისაკენ მოუწოდებს მსოფლიოს ხალხებს!..“



„საბჭოთა კავშირში ქალები სამმაგად არიან დატვირთულნი!..“

## სამაისო

დგას მაისი — თვე ვარდობის
და თვე დღესასწაულების,
მზის და სისხლის შენადნობი
და ზეიმთა ზღვა ულევი!

ცად დროშები აიზიდნენ,
ამშვენებენ საქართველოს!
გამარჯვების მაისი დგას!
გამარჯვების გზებით გვევლოს!

პარტიული
სინდისით და რწმენით
ხალხის ნებას,
ინტერესებს იცავს —
პრესა — აზრის
ჩირაღდანი ჩვენი,
ანთებული
სამშობლოსთვის ფიცად!
ქვეყნად მტრობის
და სიავის გმობა,
სიმართლის და
სიყვარულის თესვით,
ხალხთა მარად
ერთობა და ძმობა, —
მიზანია
საბჭოური პრესის!
რომ ვიცხოვროთ
უფრო ლაღად, ტკბილად,
კიდევ უფრო —
ვიდრე გუშინ, დღესა —
უკეთესი
რომ გათენდეს დილა, —
აი, რისთვის
იბრძვის ჩვენი პრესა!
აზრის სხივით
რომ ედრება მზესაც,
სიტყვის მადლით
მუდამ მქებნელს ახლის —
გაუმარჯოს
დიდ სინათლეს — პრესას,
კალამს — ბასრ და
პატიოსან მახვილს!

ნახ. მ. აბაშიძისა



— გადაუწყვიტე, არ მიესალმო ამ კომბინატორსა და ქურდს!
— თითონ თუ გესალმება?
— არა, კაცო! მაგაზე არ ვსკდები გულზე?!

## ტოროლა

ერთი სიმღერა ისწავლა ერთხელ,
სასიხარულო და მშვენიერი,
ყველგან მღეროდა ამ ერთ სიმღერას
ყელმოღერებით, ნაზი იერით.

გავიდა ხანი... მოძველდა ჰანგი...
ტოროლა მაინც იმას მღეროდა,
არა შემთხვევით, არამედ განგებ,
სულ „ბის“, „ბრავოს“, და „ვაშას“
ელოდა...

ვერა, ვერ მიხვდა (არ მიხვდა, ალბათ!) —
ჩამოიწერა ძველი მოტივი...
და დარჩა ასე სიმღერა ამბად,
ქარით მოხლეჩილ ძველი ტოტივით.

არიგებენ და ჩასჩიჩინებენ,
ზოგი — ცალ-ცალკე, ზოგნი — ორ-ორად...
რაც გინდა უთხრან და დაარიგონ,
მაინც თავისას მღერის ტოროლა!..

შოთა ხოდაშნელი

ნახ. ე. დეისაძისა



უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მხიარული აზრები

● **ვაცი** იმიტომაა წვერებცანცარა, რომ ბრძენს ჰგავდეს და ცხვრებმა წინამძღოლად აირჩიონ.
● **კატას** იმიტომ ეშინია ძაღლის, რომ თაგვს კატის შიში ჰქონდეს.
● **აქლემს** ორი კუზი იმიტომა აქვს, რომ უნაგირი არ დაადგან, ზღარბს კი იმიტომ აქვს ეკლები, რომ კურტანი არ დაადგან.

გ. ზედელაშვილი

### მოდერნიზებული ანდაზები

● **ქარის** მოტანილს ქალი წაიღებს.
● **ადრე** ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა ბრაკონიერი.
● **დედის** პირი რომ იწყევლება, გული ჯინსების ყიდვას ფიქრობს.

ჰამლეტ ჩაჩიბაია

### ნაკვესები

● **ღვინოწაღებული** ყანწს ეპიდებოდაო.
● **სხვის** სადღეგრძელოს ცლიდა და თავს დღეგრძელობა აღარ აცალა.
● **დღეს** ჰიქით სუნთქავ, ხვალ შიგ ჩაგასუნთქებენ!
● **სულელი** აღარ გასულელდება... ჰკვიანს მიხედეთ!
● **წარმოება** დახრა და რკინის გისოსებზე მოიმტვრია კბილები.
● **ლექსი** დაუბეჭდეს, თუმცა შიგ გარკვევით ეწერა: მე პოეტი არ გახლავართო!
● **ძიება** არ უნდა წარმართონ „ძიებმა“!

რომან ზუაკაკიშვილი

### აზერბაიჯანული ხალხური იუმორი

გზაზე მოლა და აშული შეხვდნენ ერთმანეთს.
— სალამ ალეიქუმ! ხეირზე მიდიხარ? — ჰკითხა მოლამ.
— ალეიქუმ სალამ, ხეირზე მივდივარ, შარი რომ იყოს, შენ წახვიდოდი.
— უპასუხა აშულმა.

# მოგზაურობა მომსახურებაში

**„ხუმრობა“** ნიანგის ერთ-ერთი სამოგზაურო იახტაა, ანუ სიცილ-ხარხარის ნავტიკი. იგი თავისუფლად მოძრაობს წყალსა და კოსმოსში. ნავტიკის ყოვლისშემძლეობა რომ დაგვემტკიცებინა, ამა წლის 12 თებერვალს „ხუმრობის“ ეკიპაჟის წევრებმა მესხეთ-ჯავახეთისაკენ ავუშვით კალამ-აფრები ფელეტონ-საწმისის მოსაპოვებლად.

როცა ნავტიკი „ხუმრობა“ მდინარე მტკვარში შეცურდა, ეკიპაჟის წევრებმა წყალში ვიწყეთ ჩაძირვა. მეზღვაურ-სატირიკოსები უმალ დავეჭვდით, ბერმუდის სამკუთხედის ოინბაზობა ხომ არ არის-თქო და ტვინის გლობუსი დავაბზრიალეთ. როცა ბზრიალმა ნაირ-ნაირი ეჭვები გარეთ გამოგვიყარა, ვიყვირეთ: „მდინარე მტკვარი ისეა დანაგვიანებული, რომ „ხუმრობაზე“ სითხის ამომგდები ძალა ნულის ტოლია! აი, ჩაძირვის მიზეზიც!“ მაშინ კოსმოსისკენ ვიწყეთ აფრენა. არც იქ დაგვიხვდა ნაკლები კვამლი და ჭუჭყი, ერთი იმედი მატარებელიღა იყო. ჰოდა, მოგზაურობას რომ ეგზოტიკური სახე არ დაეკარგა, ნავტიკი „ხუმრობა“ დავმალეთ, ხელჩანთებში ჩავალაგეთ და თბილისი — ვალეს მატარებლის მეექვსე ვაგონით ავყევით მესხეთ-ჯავახეთის რკინიგზას.

### ფათერაკი ჰიგიენისა

**პირველი** დაბრკოლება „ხუმრობის“ მეზღვაურ-სატირიკოსებს ვაგონის გამყოლ **სურენ მაზმიშვილისგან** შეგვხვდა, როცა მან გამოგვიცხადა, მე ძველი სპორტსმენი ვარ და ამ შავი ფერის თეთრეულში სულ კინწისკვრით ჩაგაწვენთო.

— ამ ანტიჰიგიენურ ნიმუშებს როგორ უწოდებ თეთრეულს, შე დალტონიკო?! — ვიყვირეთ ჩვენ.

— მე დალტონიკი კი არა, ძველი დამრტყმელი ვარ, და ამასაც არ მოგცემთ! — გვიპასუხა სურენამ.

ჩვენ პელეს ავტოგრაფივით ძლივს ავიღეთ შავეულ-თეთრეული, ჩავიდინეთ გმირობა — შიგ ჩავწექით!

### განბანვა ახალციხურად

**რა** მივადექით ქალაქსა ახალციხესა, უწინარეს ყოვლისა, შევადგინეთ აქტი მასზე, რომ ვაგონისა თეთრეულის, უფრო სწორად „შავეულის“, გამო ტანი ჩვენი დაფარული იყო ჭუჭყითა შავითა, არა საამო სუნითა და უსწრაფესად საჭირო იქმნა მისგან განწმენდა. ამისათვის კი საჭირო იყო შამპუნ-კოლორი „ირისი“, ჰიგიენური აეროზოლი, ლანდატონი და სხვა. მივადექით **ახალციხის რაიუნივერმაღის დირექტორს ა. გელაშვილს და სექციის გამგე გ. ბედნარსკის** და ვთხოვეთ: „გვსურს, თქვენი უნივერმაღის პარფიუმერიის დახმარებით, განვიახლოთ ჰიგიენა ჩვენი ტანისა და გვჭირდება ზემორე ჩამოთვლილი!“ მათ განბანვის საშუალებანი დახლებზე ვერ გვიჩვენეს, მაშინ ჩვენ ვიხმარეთ ხერხი და ჩვენი მსტოვარი შევაპარეთ საწყობსაშინა, სადაც აღმოჩნდა სასპეკულანტოდ გადამალული **ას ოცი ცალი ლანდატონი, ოცი ცალი აეროზოლი „დეო ნეენი“ და ორმოცი ცალი შამპუნ-კოლორი „ირისი“**, ყველანი ნაწარმი გერმანულისა. მათსა ძებნისას მსტოვარი გადაეყარა **პოლონურ ერთ ცალ ქალის „კურტკას“**, ვერვისგან შეფასებულსა, გარდა სპეკულანტისა. თვით **24-მანეთიანმა ჩეხურმა ქოლგამაც** ვერ დამალა თავისი თავი და ფეხსაცმლის სექციაში (გამგე — **სარქისიანი**) გადამალული **4 წყვილი იუგოსლავური ქალის ფეხსაცმელი და აგრეთვე 40 ზომა ვიეტნამური კედები.** გადამალულ ვიეტნამურ კედებზე ჩვენ ვიყვირეთ: „რატომ დაგვიმალეთ?! თქვენ ჩვენი ფართო თვალები სხვის ვიწრო თვალებში ხომ არ გეშლებათ?!“

— ?!

ამ უნივერმაღში არა მარტო იმპორტული საქონელი აქვთ გადამალული, არამედ საკუთრად „წარმოებული“, ნაგვადქცეული საჭმელ-სასმელიც.

რის „განვიბანეთ“, ვისურვეთ პირის გაპარსვა და **ახალციხის „ქალაქკვაჭრობის“ მე-9 სამრეწველო მაღაზიასთან** ჩავუშვით ღუზა. **სექციის გამგე ვ. ივანიაძემ** დროშების ფრიალით გვაუწყა, რომ არამტანჯველური, ნაღდი საპარსი „ლენინგრადი“ დახლზე არა გვაქვსო, მაგრამ ვინ დაუჯერებდა ივანიაძის აზრთა ფრიალს?! ჩვენ მოვჩხრიკეთ და აღმოვაჩინეთ სანთლით საძებნელი **800 ცალი საპარსი „ლენინგრადი“**. აქვე ვიხილეთ დახლქვეშ შემალული **მამაკაცის გერმანული წინდები.** ამგვარ ფოკუსებში მე არ ვარ პასუხისმგებელი, — აგვიხსნა სექციის დირიჟორმა **ვ. ივანიაძემ**, — პასუხისმგებელნი თვითონ გამყიდველები არიანო!

### იქნებ მირჩიოთ?!

**ჭამა** ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა. ჰოდა, ჩვენც ვისარგებლეთ ამ პროცესით და **ახალქალაქის სასტუმრო „ჯავახეთის“ ბუფეტში** დავნაყრდით. როცა მებუფეტე **დ. იგითხანიანმა დიეტურ ორცხობილაში, ორ ქილა მაწონში, 400 გრამ ნამცხვარსა და სამ ჭიქა ჩაიში ორი მანეთის** ჩატკბარუნება სცადა, ჩვენ ასეთი შეკითხვა მივეცით. „მანეთისა და 58 კაპიკის ნაცვლად, რატომ გადაგვახდევინე ორი მანეთი?! მან გვიპასუხა: „მთელი ოჯახი ჩემს კისერზეა და, აბა, თქვენ მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?!“ „რჩევა ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, ამხელა ქალაქში ვინ გამოგილევთ მრჩეველსა და დამრიგებელს?!“ — ვუპასუხეთ თუ არა **იგითხანიანს**, თვალი გავაყოლეთ **კერამიკულ თეფშებს**, გამოფრენას რომ ლამობდნენ **ახალქალაქის სავაჭრო ცენტრის საგალანტერიო სექციის (გამგე — აკოფ აკოფიანი) საწყობიდან, რომელთაც** უნდა გაესალებინათ **ტანსაცმლის სექციაში გადამალული ოცმანეთიანი ბავშვის პალტო, ფეხსაცმლის სექციის გამყიდველის ანა ჩობანიანის, მიერ გასაყიდად მოტანილი „ლაიკის“ პალტო, გერმანული ელექტრობრა, ტუალეტის ქაღალდები და იმპორტული ფეხსაცმლის საპრიალებლები.** რადგანაც მფრინავი თეფშების აპოგეა და პერიგეა ძნელი შესასწავლია, კვლევა ახალქალაქის რაიკავშირის „ასტრონომებს“ მივანდეთ.

### ასპინძური ბარხანები

**ყველასათვის** ცნობილია, კაცი რომ გაიცნო, ერთი ფუთი მარილი უნდა შეჭამო მასთან. ჰოდა, სატირიკოს-მეზღვაურები ერთმანეთს რომ კარგად დავახლოვებოდით, **ასპინძის რაიონის სავაჭრო ცენტრში** დავაპირეთ **მარილის** შეძენა. სექციის გამგე **დარიკო ოქროპირიძემ** გვიპასუხა: „მარილი თუ საფიცვერცხლოდ გინდათ, აჰა, წაიღეთ!“ და დახლზე ბარხანებივით აკოკლავებული მარილი შემოგვაჩეჩა. მარილის დახეული კოლოფები კი იმასღა გვამცნობდა, რომ ეს მარილია და არა გვარჯილაო.

დაგვიღამდა. **ასპინძაში სასტუმრო რომ ვერ აღმოვაჩინეთ,** ფუნდუკისმაგვარ ოთახში გამოვიძინეთ. ძილში მალიმალ გვესიზმრებოდა მესხურ-ჯავახური კეთილმომსახურება!..

ავთანდილ ადიხეი,
აკაკი ბელაშვილი,
შოველ ცალუღელაშვილი.

**ჩელზევით** შიშველი ჯარისკაცები მაგიდასთან იდგნენ და იარაღს წმენდნენ. მეთაურმა ერთი მათგანის კარგად დამრგვალებულ მუცელს დაადგა თვალი და გულღიად უსაყვედურა:

— რიგითო მაძღარაშვილო, სად არის შენი სამხედრო ფორმა?!

— ქუდი და გიმნასტურა აგერ მიწყვია, — თავი მოიმიამიტა მაძღარაშვილმა, — შარვალი კი...

— შარვალს მეც ვხედავ რა დღეშია — ღიპს დაუქაჩავს დაბლა და ლამის თეძოებს ქვემოთ ჩააცუროს.

ჯარისკაცებმა იცოდნენ, რომ პიერო მაძღარაშვილს თავის ნებაზე ჰყავდა მიშვებული აქორებული თუ ალორებული მუცელი — საუზმე-სადილ-ვახშამის შემდეგ ჯამით ხელში მიადგებოდა ხოლმე კერძების გასაცემ სარკმელს დამატებითი ულუფის მისაღებად. ამის გამო იყო, რომ სახელიც შეუცვალეს პიეროს... მშიერო დაარქვეს.

— მშიერო მოდის!

ისმოდა სამზარეულოში და მორიგე მზარეული სავსე ჩამჩით ხელში ეგებებოდა გაზულუქებულ მუცელმერთას...

მეთაურის შენიშვნა ერთ ყურში შეუშვა და მეორეში გაუშვა პიერომ, სადილი მადიანად მიირთვა, შემდეგ დამატებით ულუფასაც ერთი გემოზე მიაძლა და კვნესა-კვნესით ჩადგა წყობილებაში.

ნასადილევს მეცადინეობაზე წასვლა დაეზარა, სანინსტრუქტორს მიადგა სახედალრეჯილი და დოლივით დაჭიმული მუცელი შეავედრა. სანინსტრუქტორმა პროფესორის სიდინჯით მოისმინა ჩივილები, მუცელზე გამოცდილ მედოლესავით დაურტყა წკიპურტები და დაამღერა:

— ცხადად არკვევს პალპაცია, ავადმყოფი რა კაცია, აქ მაგარი, იქ რბილია, მუცლის წამალი სირბილია.

ამით დამთავრდა მთელი ექიმობა. და სულ მალე მეთაურის დაძახილზე საშტურმო ზოლთან გამწკრივდნენ ჯარისკაცები.

პალოების ორი მწკრივი, ზედ გადაჭიმული ეკლიანი მავთულხლართი 50 მეტრზე გრძელდება, ქვეშ ისე უნდა გახოხდე, რომ არ წამოგედოს, რომ გაძვრები, მერე უნდა წამოხტე, სახლის მაკეტის ფანჯარაში ხელყუმბარა ტყორცნო, მაღალ მესერზე გადაფოფხდე, ფიტულებს ხიშტით დაერიო და მერე თხრილზე გადახტე. მეთაურს წამმზომი ეჭირა, ჯარისკაცები რიგრიგობით გადიოდნენ...

— რიგითო მაძღარაშვილო, წინ! — გაისმა ბრძანება.

— ვერ გავეტევი, ამხანაგო მეთაურო, მოდი, ცოტას აქეთ-იქით გავირბენ, იქნებ დავიფუყო, — პიერომ მუცელზე შემოიდო ხელი.

— შეასრულე ბრძანება! — ფეხი დაუტყაპუნა მეთაურმა.

მაძღარაშვილი ზოლს მიუახლოვდა და გახოხება სცადა, მაგრამ მაშინვე მავთულის ეკლებს წამოედო, შეფერხდა.

— წინ-მეთქი! — გაცეცხლდა მეთაური.

მაძღარაშვილმა გაიწია და შარვალს სულ ფხრაწაფხრუწი აუყენა, მიფორთხავდა, მიიზლაზნებოდა, ხან ერთ გვერდზე გაწვებოდა, ხან მეორეზე, მაგრამ მუცელი მაინც უშლიდა, სავსე თეძოებით ეკლიან მავთულებს ეხებოდა და მის ეკლებზე ტანსაცმლიდან ანაგლეჯ ძაფებს ტოვებდა...

მავთულხლართს როგორც იყო გასცდა, მაგრამ წამოდგომა ველარ შეძლო, ლოხი კამეჩივით ენაწამოგდებული იწვა და სულს ძლივს ითქვამდა.

მეთაური წაადგა თავს და ჯარისკაცებსაც უხმო.

— ყველაზე სამარცხვინო ჭრილობა, რაც კი ოდესმე ჯარისკაცს მიუღია, აი, ეს გახლავთ, — უთხრა შეკრებილებს და პიეროს დახეულ შარვალს ორ ადგილას შეახო კარაბინის ლულა, — მე თვითონ ვნახე ფრონტზე აი, ასე, დუნდულებში დაჭრილი სალდათი, რომელიც სირცხვილით მედდასთან ვერ მივიდა.

ჯარისკაცები ხარხარებდნენ, პიერო კი გატვრენილი იწვა და არავინ იცოდა, რა აზრი მწიფდებოდა მის გასიებულ თავში.

ეს კია, რომ ამის შემდეგ იგი სამზარეულოს სარკმელთან ატუზული აღარავის უნახავს.

**ელგუჯა მერაბიშვილი**

## ვაი, რატომ დავიჯერე?!

თურმე რატომ მიძაგებდა
ჩემს ლამაზ ცოლს
აქცენტია:
„შენი ცოლი ისეთია!
შენი ცოლი ასეთია!
არ თქვა, ენა
თაფლისა აქვს
და თვალები გიშრიანი,
ქალი, ქმარის მოღალატე,
განა შენი ღირსი არი?!“
ო, ლამაზი ცოლის
პატრონს
შიშის წყლული
ზაფრავს, თურმე,
და ჰგონია,
მის ნაზ სულში
ხელებს სულ სხვა
აფათურებს!..
მე, ისედაც ეჭვიანი,
ძმაკაცმა სულ
გადამრია;
„დამიჯერე,
შენი ცოლი
სხვების ტრფობით
დამდნარია!“
დავიჯერე,
და ვიჯერე
გული ცოლის
წამებითა,
ერთხანს ეზოც
ვაგვევინე,
გიშრის დალალ-კავებითა!..
რა ვიცოდი,
ქმარმა ბრიყვმა,
როცა ძმობის
ფიცს ბჟიცავდა,
რომ ულმერთოს
თურმე ჩემი
ცოლის ტრფობის
ცეცხლი სწვავდა.
რაღა ბევრი გავაგრძელო,
უსამართლო დავამ,
ჭორმა,
უბედური კალენიკე
ღვთაებრივ ცოლს
დამაშორა!..
და დამრია ხევდამ
ხელი,
კაცს, თუდაც
ნერვებაშლილს,
დღეს უაზროდ
დავფართხალებ,
როგორც ფიფქი
მძვინვარ ქარში!..
ვინ რა იცის,
ბედი კრული
რა ხამსალას
გასმევს ტიალს?!
ჩემი ლელი,
უცოდველი,
სახლში უზის
აქცენტიას!..
დღეს ის ხარობს,
მე კი ბოლმის
ცრემლი მახრჩობს,
აი, რაზე!..
ეს დღე ელის,
ვინაც დახტის
სხვების დაკრულ დაირაზე!

ეთერ სამხარაძე-ჯლამაძე

ნახ. ვ. კუციასი



— ეს თქვენი ბაბუის ფოტოსურათია?
— არა, ამხანაგო მაიორო! ეს მე ვარ, ჯარში გაწვევამდე!

ნახ. ი. ყეინაშვილისა



— უკან მოვბრუნდი... მართლა ათამდე უნდა დავთვალო?



უსიტყვოდ

ნახ. მ. მჭედლიშვილისა



უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეორედ სკოლაში

ეს ბავშვი მარტო ჩემი შვილი არ არის, როგორც მახსოვს, ამის გაჩენა-გაზრდაში შენცა გაქვს მონაწილეობა მიღებული! ჰოდა, მიხედე საქმეს, მიდი სკოლაში, და, თუ ბიჭი ხარ, შიუდექი მასწავლებლებს! მომბეზრდა ამდენი ღრეჭა! აბა, რის მეუღლე ხარ, თუ უღელში ტოლი არ დაუდე მეუღლეს-მეთქი, — გავიფიქრე და კარგა ხნის დავიწყებული სკოლის გზას გავუდექი. გამახსენდა ბავშვობა, მეგობრები და მასწავლებლებიც. სკოლის ასაკში ბავშვებს ვერ წარმოგვედგინა, მასწავლებლები საჭმელს თუ ჭამდნენ, ანდა იძინებდნენ. ასე გვეგონა, ტანგაუხდელნი ისხდნენ სავარძლებში და დღედაღამ წიგნი ეჭირათ ხელში. ოდესღაც ისინიც რომ ბავშვები იყვნენ და იმათაც რომ მშობლები ჰყავდათ და მასწავლებლები, ამას ისევე ვერ წარმოვიდგენდით, როგორც ქვის ხანის ადამიანი — ფერად ტელევიზორ „რუბინ—714“-ს. ფიქრებში შორსწასულმა საშუალო სკოლის სადარბაზო კარი შევაღე და კიბეს ავყევი. კიბის ქვეშ ორი ქალი შევნიშნე თუ არა, პირი იბრუნეს და ერთი რეგისტრით დაბლა ჩამოვიდნენ. ყურები კურდღელივით ვცქვიტე და მომესმა კიდეც: „მაკას თუ ამ მეოთხედში ხუთიანი არ დავუწერო, არ მეღირსოს შენი მოცემული საჩუქრით ბიჭვინთაში დასვენება!“ კიბე ავათავე თუ არა, ჯინსებში გამოწყობილი ლამაზმანი შემომხვდა: „თქვენ, საით, პატივცემულო?“ „მე მშობელი ვარ“, — ვუპასუხე და ფრანგული სუნამო „კლიმა“ ვიცანი. „მე სკოლის დარაჯი გახლავართ, თქვენ პირველად გხედავთ, რა გნებავთ?“

— მეშვიდე პირველი კლასის დამრიგებელი ქალბატონი ცია სად შეიძლება ვნახო? — ჰალსტუხის სწორებით ვკითხე.

— ამ დერეფანს გაყევით, მარჯვნივ შეუხვიეთ და მარცხენა მხარეს მეოთხე კარი შეაღეთ, იქაა სამასწავლებლო! — მიპასუხა დარაჯმა და ქამარი ერთი ჭრილოთი კიდევ დაავიწროვა. მინიშნებულ ადგილზე მისვლა ვერ მოვასწარი, რომ ზარის გაბმული წკრიალი შემომესმა. დერეფანი აირია და ქათმის ფერმაში შეპარული ინდაურივით დავიბენი. ჩანთების, კალმისტრებისა და დაჭმუჭნილი ქაღალდების კორიანტელი დატრიალდა ჩემს თავზე. ერთმა ისიც დაიძახა: „რას შერუბით, ბიჭო, კაცი დაიცენტრათ“. ისევ ზარის ხმამ გამომიყვანა მდგომარეობიდან. სიწყნარე ჩამოვარდა. ფრანგული სუნამოს ძალამ სამასწავლებლომდე მიმაგნებინა. ორი მასწავლებელიღა იყო დარჩენილი სამასწავლებლოში და ორივე ქალთა სქესის წარმომადგენელი აღმოჩნდა. მე შესვლისთანავე „ფილიპ მორისი“ დავაძვრე და მოკრძალებით ასანთი ვითხოვე, რათა კონტაქტში შევსულიყავი. ასანთის მაგიერ, უცხოური სანთებელა აინთო ჩემს ცხვირწინ.

— ქალბატონი ცია მინდოდა! — ვთქვი მე და ისეთი ნაფაზი დავარტყი, ბოლი ყურებიდანაც კი გამომივიდა!

— გახლავართ!

— მე მისი მამა ვარ! — როგორღაც გავთამამდი.

— ძალზე სასიამოვნოა, მაგრამ ახლა არა მცალია, დიდი ხნის უნახავი დაქალი მესტუმრა, თქვენთან კი ბევრი მაქვს სალაპარაკო.

კვლავ ზარის წკრიალი გაისმა, მაგრამ ამჯერად ტელეფონისა. ციამ ყურმილი აიღო და დაქალს გაუღიმა. დაქალმა შემომხედა და ტუჩზე საჩვენებელი თითი მიიდო. მე სუნთქვა შევიკარი. ტელეფონით საუბარმა „სერიოზული“ ხასიათი მიიღო.

შინ დაბრუნებულს, სკოლიდან გამოგდებული მოსწავლის გრძნობა დამეუფლა.

ჟანი სიხარულიძე

ნახ. ჟ. დეისაძისა



— ამ ბავშვს პატრონი არ ჰყავს?!
— პატრონი რომ ჰყავს, იმიტომაა ასე!

## ეპიგრამები

**ახალი გლახის ნაამბობი**

გლახასავით გდიხარ მტვერში,
უქნარა და საკიცხავი,
მაგრამ რა გაქვს საამბობი? —
აი, რაა საკითხავი!

**შურიანი პედროვე**

შენ გენატრება ყველას სიკვდილი,
ფურცლავ გაზეთებს, ქვაზი-მაესტრო!
შენ ყველას სიკვდილს ვერ მოესწრები,
მაგრამ შენს სიკვდილს ყველა მოესწრო!

**მინაწერი ერთ რომანზე**

ვკითხულობ შენს წიგნს — წყალივით მიდის,
ვამაყობ, შენ ხარ ჩემი ბატონი,
მადლობას ვწირავ განგებას მისთვის,
რომ მე არა ვარ... მისი ავტორი.

**ანონიმური თხუნელა**

განა მიკვირს, რომ სიყალბეს აკეთებ,
ანონიმთა წერითა ხარ გართული?!
მე ის მიკვირს, როგორ იტანს ასეთებს
დალოცვილი ჩვენი მიწა ქართული!

აკაკი გელოვანი

ნახ. ირინა ცინცაძისა




— საზღვარგარეთის რომელ ქვეყანაში იყავი?
— აი, იქ, ჯინსებიან ქვეყანაში!

ეროვნული

ნახ. ი. ჟეინაშვილისა



უსიტყვოდ

## რეცეპტი

— მართალია, შენმა ცოლმა ერთ თვეში ოცი კილო რომ დაიკლო?

— კი!

— თუ ძმა ხარ, რეცეპტი ჩამაწერინე და ვალში არ დაგრჩები!..

— ისეთი არაფერია მაინცდამაინც...

— მესამე წელია იტანჯება ჩემი ლამარა, რა არ იხმარა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ეს ფრანგული დიეტაო, ეს „ხათხა როგაო", პირიქით, სამი კილო მოიმატა, ახლა ოთხმოცდაცამეტია!

— ეგ არაფერი, ჩემი მეუღლე ოთხმოცდათხუთმეტ კილოს იწონიდა!

— მასწავლე რეცეპტი, კაცობას გაფიცებ, საიდუმლოს შტირლიცივით შევინახავ! თანაკლასელები ვიყავით, ბოლოსდაბოლოს!..

— ისეთი არაფერია-მეთქი, ხომ გითხარი!

— კაი ახლა, დავიღალე ცნობისმოყვარეობისაგან! აგერ ჩავიწერ ა, ბლოკნოტში, აბა ჰე, მიკარნახე, უკვე ვიწერ!

— რა და... ჩემი ცოლი თამრიკო იმპორტულ ტანისამოსზე რომ გიჟდება, ხომ იცი!?

— რა შუაშია ახლა იმპორტული ტანსაცმელი?

— ჯინსებზე რომ გიჟდებოდა, ეგეც იცი?

— კი!

— ჰოდა, ამ ერთი თვის წინათ ჩემმა ძმამ, ფარსმანმა, შორეული ნაოსნობიდან ოთხი ნომრით პატარა ორი წყვილი ამერიკული ჯინსი ჩამოუტანა თავისი ქურთუკით!

— მერე?

— რაღა მერე, შე კაცო!..

**თამაზ ჭეიშვილი**

---

## ეპიდემია




**ამას წინათ** საყასბოში... უკაცრავად, ხორცის მაღაზიაში შევედი. აი, იქა რაღა, **ორთაჭალის ბაღებთან, დუქნის ნომერი 33, გორგასალის ქუჩაზე — № 53.** ვაჰ, ეს რა კარგი რამე მოუგონებიათ, კაცო, — აწონილ-დაწონილი, ცელოფანის პარკში ჩადებული ხორცი, ყვითელი ჩეკით დამშვენებული (რათა ყველას კარგად მოხვდეს თვალში!), რომელსაც აქეთ წონა აწერია, იქით — ფასი, ზედაც ხარისხი. მოკლედ, დადე დახლზე ფული და ინებე: ანტრეკოტი, არტალა, ჩალაღაჯი თუ „გრუდინკა".

— ვაჰ! ეგრე არაო, — მეუბნება **გამყიდველი ა. ჯანიაშვილი,** — ვერა ხედამ, ყველას წონით ვატანო!

— დალოცვილო, — ვეუბნები, — ამას რაღა აწონვა უნდა ყველაფერი ზედ აწერია-მეთქი!

— ისა, რომა, ზოგიერთი პარკი გახსნილია და აკლიაო..

— მერე, მე რომ ვერ დავინახე, ვინმეს რამეს უმატებდე-მეთქი?!

— შენ ვერა ხედამ, ჩვენა ვხედამთო...

ჰაი, ჰაი, რომ ხედავს, ზედმეტს რომ ახდევინებს მომხმარებელს, მაგრამ ის, ვინც ამას უნდა ხედავდეს, ისიცა ხედავს?

მე ვთქვი, ალბათ, ასეთი უნამუსობა მარტო ამ ერთ ადგილას ხდება-მეთქი. მაგრამ გაგიგონია?!

შევდივარ **№ 9 სასურსათო მაღაზიაში, ისევ ორთაჭალაში (გორგასალის ქ. № 111ა)** კოხტად პარკებში ჩაწყობილ, მშვენიერ ხორცსა ყიდიან. ორი ცალი ავიღე და გამყიდველი **თ. ქათამაძე** (კოხტა, ჯეელი ყმაწვილი...) ხელში მეცა.

— ეგრე არაო, თაყაო, შენ რომ პარკები გაყაო... მაიტა, ავწონოო!..

— ძმაო, შვილო, ამას აწონვა რაღად უნდა-მეთქი...

— მაშ, როგორ გინდა, მე ოთხასი კილო დანაკლისით მიმიღია (საინტერესოა, ჩემმა მზემ, ვისგან?!.) შენ თავის ფასში გაგატანოო?! დადე ოთხი მანეთი და გზას ბარაქა მიაყარეო!

ვაჰ, ეგრეთი რამე გაგიგიათ?! მაგრად დავუდექი:

— კაცო, შენ დაგაკლეს, ჩემი რა გადასახადია-მეთქი... მახლას, ბოლობოლო, სამი მანეთი და 82 კაპიკი გადამახდევინა. თან ცუდი კაციც გამამიყვანა: შე ასეთ-ისეთოვო!

მერედა რის გულისათვის? იმისთვის, რომ გავბედე და პირში ვუთხარი: ნურც ამოტელა ხალხს ატყუებთ და ნურც მე. 18 კაპიკით-მეთქი!

ამიტომ ვარ ცუდი კაცი?!

ღმერთი, რჯული, მე არავის ვერჩი, ოღონდ წესიერად ივაჭრონ და მომხმარებელს იმ მშვენიერ ხორცს ყელში ნუ ამოადენენ! ეს არის და ეს. მე ხომ ჩემსას მოვითხოვდი, კაცო, იმას, რაც მე მეკუთვნოდა?!

ისე კი, ზურგს უკან რომ არა ვთქვა, ეს რაღაც ეპიდემიასავით ვრცელდება. მერედა, ეპიდემია ხო იცით რა საშიში რამეა? ყველა ხორცის გამყიდველს გადაედება, თუ თავის დროზე არ მოისპო. (ვაითუ, სხვასაც გადაედოს...)

აბა, „ნიანგოჯან", შენ იცი! ერთი შენებურად ანგელოზები დაუფრთხე ამ ეპიდემიის გამავრცელებლებს!

**შენი სოლომონ
ისაკიჩ მეჯღანუაშვილი**

**ნიანგისაგან:** იმასაც იმიზეზებენ, რომ ჩეკი ძალიან პატარაა და ზედ წარწერებს ვერ ვამჩნევთო. საინტერესოა, მართლა ვერ ამჩნევენ წარწერებს **№ 33 მაღაზიის გამგე გაიოზ ელიოზაშვილი** და **№ 9 მაღაზიის გამგე ზინა მაისურაძე,** თუ საერთოდ ფაქტის შემჩნევა არა სურთ?

თქვენ როგორ გგონიათ, სოლომონ ისაკიჩ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბარათები ნიანგს!

**ქვირფასო** ნიანგო! ძალიან გაგვიჭირდა, თორემ არ გვინდოდა თქვენი შეწუხება. ჩვენ თქვენი ახლო მეზობლები — **მცხეთის რაიონის სოფელ თხინვალას მცხოვრებნი** ვართ. ჰოდა, ნუ დააჩაგვრინებთ ჩვენს თავს: ჩვენს სოფელში ცხელი წყალი ამოვიდა მიწიდან, გავისარჯეთ, ყველამ გამოვიყვანეთ და მშვენივრად ვგრძნობდით თავს, მაგრამ მალე წყალი წაგვართვეს, ცოტაც არ დაგვიტოვეს, ახლა აღარც ცხელი წყალი გვაქვს და ცივი ხომ იმთავითვე გვიჭირდა.

**სოფელ თხინვალას მცხოვრებნი: ალნიაშვილები, ჩოხელები, თვაურები და სხვები.**

**ძია** ნიანგო! ოთხი წელია, **გლდანის მასივში** ვცხოვრობთ ჩვენს სახლებს ეზოები აქვთ, მაგრამ რად გვინდა? სულ საკუთარი ავტომანქანებით არის სავსე, ეზოში ვერ გვითამაშია. მახლობლად არის სახელმწიფო ავტოსადგომი, მაგრამ იქ, აბა, ვინ აყენებს მანქანას? გთხოვთ მოგვეხმაროთ, ძია ნიანგო, ეს საკუთარი მანქანები პატრონებმა ავტოსადგომზე დააყენონ და ბურთს ჩვენ თვითონ ვიშოვით, ამაზე არ შეგაწუხებთ!

**გლდანის მასივის „ა“ მიკრორაიონის 54-ე კორპუსში მცხოვრები ბავშვები**

## წერილების კვალდაკვალ

გარდაბნის რაიონის სოფელ დიდი ლილოს მცხოვრებნი რედაქციას სწერდნენ მათ სოფელში კულტურულ და საყოფაცხოვრებო მომსახურების ნაკლოვანებებზე, სოფლის კეთილმოწყობის საჭიროებებზე.

სახალხო დეპუტატების გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. მ. დაშდამიროვი რედაქციას ატყობინებს, რომ რაიაღმასკომმა მიმდინარე წლის 21 თებერვალს განიხილა სოფელ დიდი ლილოს კეთილმოწყობის საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

გარდაბნის რაიონში სოფელი პატარა ლილოც არის და ამ სოფლის მცხოვრებლებმაც მოსწერეს რედაქციას თავიანთ სატკივარზე: არა აქვთ სასმელი წყალი, ხევზე ხიდის მშენებლობა დაიწყო, მართალია კარგი დასაწყისი ნახევარია საქმისაო, მაგრამ ნახევარი ხიდი სასიარულოდ არ გამოდგება. პატარა ნიავიც კი საკმარისია, რომ სინათლე გამოითიშოს და მთელი კვირა უშუქოდ დავრჩეთო...

რედაქცია იმედოვნებს, რომ გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომი სოფელ პატარა ლილოს კეთილმოწყობასაც მიაქცევს სათანადო ყურადღებას.

**ხშირად** სტუმრებს „სამ-ოთხსართულიანი“ სუფრებით ვხვდებით, მაგრამ ამით გულღია მასპინძლების სახელს ვერ დავიმსახურებთ, რადგან ამ დროს ადამიანურ ურთიერთობას ღორმუცელობაში შეჯიბრებით ვცვლით.

ნახ. გ. ფირცხალავასი



— გაწიეთ ეგ თეფშები და გოჭი რომ სტუმრებმა დამინახონ!

**რესტორნებში** ბლომად რჩება საჭმლის ნარჩენები. წლიური გაანგარიშებით, ეს ასობით ტონა პური, ხორცი და ბოსტნეულია. სამწუხაროდ, ზოგიერთებს ძალიან უყვართ უთავბოლო ხელგაშლილობა.

ნახ. გ. ლომიძისა



— 12 მწვადი შეგიკვეთე და შენ ექვსი მოგაქვს?!

**ჭამაში** თავშეუკავებლობას ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო შედეგები მოსდევს — ათეროსკლეროზი, შაქრიანი დიაბეტი, ჰიპერტონია... რესპუბლიკის მოსახლეობის ერთ მესამედს ზედმეტი წონა აქვს, 15-20 პროცენტს კი სიმსუქნე აწუხებს.



— ასე რომ იჭაჭები, რა გაწუხებს?!
— რა და, თქვენი სიმსუქნე!

## წავედი, ძიდი ნებისა!

**ჩვენი** ოჯახი ხუთი სულისაგან შედგება და ყველა შრომის ფრონტზეა ჩაბმული, გამონაკლისს მე წარმოვადგენ. უფრო მეტიც — მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი რამდენიმე წელი ოფიციალურ სამსახურში საერთოდ არ გავფორმდე. საპატიო მიზეზიც გამაჩნია — ახლახან 3 წლის გავხდი...

მამაჩემი ისტორიისა და ჭკუის მასწავლებელია ინდუსტრიულ ტექნიკუმში და მისი სიტყვები რომ ვიხმაროთ, ქვეყნის ინდუსტრიისათვის ჭედავს კადრებს. ქვეყანა ვიცი რასაც ნიშნავს — ბებიამ ამიხსნა, ეს ბევრი სახლი და ბევრი ბავშვიაო. ჭედვას ჩემით მივხვდი რაც იყო, როცა სამსახურიდან დაბრუნებულმა მამიკომ დაიღრიალა „სპალნაში“ ლურსმანი ვინ ჩააჭედაო. ისე, მამიკო კარგი კაცია — ყოველთვის არ ყვირის, ხოლო გაწყობილ სუფრას რომ მიუჯდება, მაშინ საერთოდ არ იღებს ხმას. მე ამ დროს მის მუხლზე ავაცოცდები და განსაკუთრებული სურვილი მიჩნდება ჩანგალი ყურში გავურჭო; დედაჩემის აზრით, მამიკო სულ არ უჩივის უმადობას, ამას მეც ვამჩნევ — რაც დრო გადის, მამაჩემის მუხლებზე ჩემს დასაჯდომ ადგილს მისი მუცელი იკავებს...

ჩვენ სახლს საერთო ეზო აქვს. იმ ეზოში ჩემს გარდა სხვა ბავშვებიც დადიან, ეცემიან და ტირიან. მე უფრო მეტად გურანდასა და უჩუნასთან ვთამაშობ... გურანდა ჩემი კარის მეზობელია, ჩემზე სამი კვირით ადრე უყიდიათ მის მშობლებს. მას ცისფერი თვალები, პუტკუნა ლოყები და დიდი თოჯინა აქვს.

ყოველ დილით ყიყლიყო მაღვიძებს, ანამ შევეჩვეოდი, მეშინოდა მისი, ახლა კი, ისე ვართ ერთმანეთთან, როგორც უჩიკო და ნუკრი — ისინი ძმები არიან...

შინ ბევრი სათამაშო მაქვს. ვიდრე მე ძილის თავს დათვის ტანზე მივაბამ, სამზარეულოდან ფაფის სუნი გამოდის. ფაფასთან ჩემი მეგობრული დამოკიდებულება უფრო მტკიცე ხდება, თუ ზედ ხიზილალაწასმულ, ცხელ თონის პურს მივაყოლებ ხოლმე. მამაჩემი არცთუ დიდი სიამოვნებით იგონებს იმ დღეს, როცა პირველად ხიზილალის გემო გამაცნო — ამას ახლავე ამდენი მოთხოვნილება აქვს და რომ გაიზრდება, მაშინ რაღა იქნებაო...

ვანო ბაბუას, როგორც დედაჩემი ამბობს, დიდი მუცელი და პატარა პენსია აქვს. მას ამხანაგებიცა ჰყავს, — სიმონა და ვასო, ისინიც ბაბუები არიან. ქუჩის პირას დასხდებიან ხოლმე და ატყუებენ ერთმანეთს, ასეთი და ასეთი ვიყავი ახალგაზრდობაშიო...

იმ დღეს ჩვენთან ოჯახური მასშტაბის ერთსაკითხიანი კრება ჩატარდა. საკითხი შეეხებოდა ჩემს საზოგადოებრივ ფართო ასპარეზზე (მამაჩემის სიტყვებია) გაყვანას, უბრალოდ რომ ვთქვათ — საბავშვო ბაღში გამწესებას. მე ჯერ გავიფიქრე: ისეთი რა დავაშავე, რომ უკვე სახლიდან მაგდებენ-მეთქი. ჩემი ეჭვის უსაფუძვლობა ყველამ სათითაოდ განმიმარტა და ბოლოს საკუთარი დასკვნაც გავაკეთე — ბაღი, ეს ისეთი ადგილია, სადაც ბევრი სათამაშო და ბავშვია, ლექსები და სიმღერები, ფაფა და კამფეტებია. ბაბუამ კი მოკლედ მოჭრა — მე კაცო, მე ლენინგრადის ბლოკადა გადავიტანე და შენ იმხელა ბიჭი კი ხარ, რომ საბავშვო ბაღს გაუძლოო. რახან სინდისზე შემაგდეს, მე თანხმობა განვაცხადე...

ჩვენს გვერდით ერთი მეზობელი ცხოვრობს, თანაც ძალიან კარგად — მის ბავშვებს სამ-სამი ველოსიპედი აქვთ სათითაოდ, ჰოდა, მახსოვს, ერთხელ, ნინა ბებიამ თქვა ამ მეზობელზე: — ასამდე თვლა არ იცის და რა კარგად ცხოვრობსო. მე კი, უკვე ორასამდეც შემიძლია დავთვალო. ვფიქრობ, არ უნდა გამიჭირდეს ცხოვრებაში. ესეც არ იყოს, ეს წელი ბავშვის წლად გამოუცხადებიათ და აბა, ვინმემ უბატონოდ ხმა გამცეს... ახლა კი მეძინება, წავედი, ძილი ნებისა!..

**თეიმურაზ ბძელიძე**

№ 361
24.V 79
7-19
79-361

ნახ. გ. ლომიძისა

**ნიუ-იორკის** პოლიციის სამმართველომ პასუხისგებაში მისცა 28 პოლიციელი — ისინი, ვინც თვითონ უნდა ებრძოდნენ დანაშაულსა და სამართალდარღვევებს. მათ ბრალად ედებათ მექრთამეობა, ფულის გამოძალვა და ნარკოტიკებით მოვაჭრეთა მფარველობა.



დამნაშავეთა გრძელი სკამი

მთავარი რედაქტორი **ზურაბ გემაზაშვილი** სარედაქციო კოლეგია: **ზ. ბოლქვაძე** (მთ. რედ. მოადგილე) **ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია** (მხატვ. რედ.), **გ. ნიშნიანიძე, ბ. სიხარულიძე** (პ/მგ. მდივანი), **გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე** ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 6/IV-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/IV-79 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 1132 უე 00702 ტირ. 144.000 Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.